ივლისი 2016

NEWSLETTER

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

IDFI-ის დირექტორი გიორგი კლდიაშვილი გენერალური პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწვეტილება, რომლითაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურას დაეკისრათ გიორგი კლდიაშვილის სასარგებლოდ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება 2014 წლის 12 დეკემბერს მისი უკანონო დაკავების ფაქტზე.

საქართველოს პროკურატურის ხარჯები (2011-2015)

2012 წლის შემდგომ საქართველოს პროკურატურაში დასაქმებულ თანამშრომელთა ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ უწყების ადმინისტრაციული ხარჯებიც. პროკურატურის შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის ტემპს.

ერთობლივი განცხადება თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს შესახებ

42 ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ერთობლი განცხადება გაავრცელა საპარლამენტო არჩევნების დღის დანიშვნასთან დაკავშირებით. განცხადებაზე ხელმომწერი ორგანიზაციები აცხადებენ, რომ კამპანიის დაწყებასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში არსებულმა ინსტიტუტებმა გამართულად იმუშაონ, რათა არჩევნები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარდეს. ამისთვის, ისინი მიმართავენ პროცესში ჩართულ სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტებს, გამოიჩინონ სათანადო პასუხისმგებლობა და ჯეროვნად შეასრულონ დაკისრებული უფლება-მოვალეობები.

IDFI-ის დირექტორი ელექტრონული პარლამენტის მსოფლიო კონფერენციაზე

IDFI-ის დირექტორმა გიორგი კლდიაშვილმა მონაწილეობა მიიღო 2016 წლის ელექტრონული პარლამენტის მსოფლიო კონფერენციაში (World e-Parliament Conference 2016), რომელიც ვალპარაისოში, ჩილეს პარლამენტში გაიმართა 28-30 ივნისს. კონფერენცია, რომელიც ორ წელში ერთხელ იმართება, არის მსოფლიო მასშტაბის ფორუმი, სადაც საპარლამენტო საქმიანობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენება განიხილება.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გამოწვევები და მათი დაძლევის გზები

IDFI-ის მიერ მომზადებული პოლიტიკის ნარკვევი მიმოიხილავს საქართველოში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გამოწვევებს და მათი დაძლევის შესაძლო საშუალებებს. ნარკვევში საუბარია, თუ რა თანხა უჯდება ბიუჯეტს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რა განაპირობებს პროგრამის არაგეგმიურ ხარჯებს და რა გავლენა იქონია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ კერძო სადაზღვევო ბიზნესზე. ნარკვევის ავტორები ასევე საუბრობენ იმ საფრთხეებზე რის წინაშეც დგას პროგრამა და ამ პრობლემის დასაძლევად ხელისუფლებას კონკრეტულ რეკომენდაციებს სთავაზობენ.

ინტერნეტის ხელმისაწვდომობა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რითიც ინტერნეტის ხელმისაწვდომობა ადამიანის ფუნდამენტურ და ძირითად უფლებად აღიარა. რეზოლუციის პირველი პუნქტის თანახმად, ადამიანები ინტერნეტის გამოყენების დროს იმავე უფლებებით უნდა სარგებლობდნენ, რომლებითაც სარგებლობენ კავშირგარეშე.

კოალიცია საბჭოში მოსამართლეთა შერჩევის სხდომას ეხმაურება

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის 14 ივლისს გავრცელებულ განცხადებაში კიდევ ერთხელ აფასებს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობას და ეხმაურება საბჭოში დღეს დანიშნულ მოსამართლეთა შერჩევის სხდომას.

IDFI-მ მონაწილეობა მიიღო OGP-ის აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონულ დიალოგში

ღია მმართველობის პარტნიორობის „აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონული დიალოგი“ მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა რეგიონის რეფორმატორებისთვის, ყოველწლიურად შეიკრიბონ და ერთმანეთს გაუზიარონ ღია მმართველობის გამოცდილება, საუკეთესო პრაქტიკა და უახლესი ამბები. 2016 წლის დიალოგში მონაწილეობა IDFI-ის დირექტორმა გიორგი კლდიაშვილმაც მიიღო.

კოალიცია ეხმიანება სტრასბურგის სასამართლოში მოსამართლედ ასარჩევ კანდიდატთა სიის მთავრობის მიერ გადასინჯვას

კოალიციას „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“, სურს, გამოეხმაუროს საქართველოს მთავრობის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის პოზიციაზე, კანდიდატთა სიაში ნანა მჭედლიძის კანდიდატურის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ ევა გოცირიძის კანდიდატურით ჩანაცვლებას.

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის მოსამართლეთა კონკურსს აფასებს

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის ეხმიანება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა 65 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსს. ამ ეტაპისთვის დასრულებულია გასაუბრება ყველა კანდიდატთან, საბჭოს გადაწყვეტილებები შერჩეულ კანდიდატებთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის მოგვიანებით გახდება ცნობილი.

კოალიცია
დამოუკიდებელი
და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის
Coalition for
an Independent and
Transparent Judiciary

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ა. გრიბოედოვის ქუჩა №3, 0108, თბილისი, საქართველო + 995 322 92 15 14
info@idfi.ge www.idfi.ge